


დამატებითი განმარტებები

Naec4Schools-ის ვებგვერდზე, რომელსაც თქვენ უნდა ესტუმროთ შედეგების გასაცნობად, სკოლის მიღწევების (შედეგების) წარმოდგენის სამი ძირითადი ფორმაა გამოყენებული: **საშუალო ქულა, მიღწევის დონე და პროცენტილი.**

- (1) **საშუალო ქულა** ცენტრალური ტენდენციის საზომია, იგი ასახავს მაქსიმალური შესაძლებელი ქულიდან საშუალოდ რაშედეგს აჩვენებენ თქვენი სკოლის მოსწავლეები.

Naec4Schools-ის *პირველივე გვერდზე* თითოეულ უჯრაში მოცემულია კონკრეტულ საგანსა და კონრეტულ კლასში (მაგალითად, მე-4 კლასი, მათემატიკა) მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი.




მიაქციეთ ყურადღება! ტესტის **მაქსიმალური ქულა** და **საშუალო მაჩვენებელი** მოცემულია საგნის შესაბამისი უჯრის ქვედა მარჯვენა კუთხეში (მაგალითად, 13.53 ამ კლასში მოსწავლეთა მიერ მათემატიკაში მიღებულ საშუალო ქულას აღნიშნავს, ხოლო 25 ტესტის მაქსიმალური ქულაა). ეს მონაცემი ილუსტრირებულია გრაფიკულადაც: უჯრაზე ფერადი მონაკვეთის სიგრძე ტესტის მაქსიმალური ქულიდან სკოლის საშუალო შედეგს გამოსახავს. ეს შედეგი *მეორე გვერდზეც* არის მითითებული.

- (2) **მიღწევის დონე** ასახავს, რა დონეზე ფლობენ მოსწავლეები კლასის შესაბამის საგნობრივ ცოდნასა და უნარებს. მოსწავლეთა მიღწევები გამიჯნულია ოთხსაფეხურიან სკალაზე: კრიტიკული, დაბალი, საშუალო და მაღალი. ყურადღება

მიაქციეთ, რომ **კრიტიკული საფეხური** მოსწავლეთა არადადამაკმაყოფილებელ შედეგებსა და მინიმალური კომპტენციის არარსებობაზე მიუთითებს.

Naec4Schools-ის **მეორე გვერდზე**, ცხრილის ზემოთ, მოცემულია მოსწავლეთა რაოდენობა მიღწევის საფეხურების მიხედვით. საილუსტრაციოდ მიღწევის საფეხურები ერთმანეთისგან ფერებითაც არის გამიჯნული (მაგალითად, წითელი კრიტიკულ საფეხურს აღნიშნავს).




ამ ველში **განსაკუთრებული ყურადღება** მიაქციეთ ქულათა დიაპაზონს, რომლითაც ხდება იმის იდენტიფიცირება, მიღწევის რომელ საფეხურზეა მოსწავლე. მაგალითად, მე-4 კლასის მათემატიკისათვის კრიტიკული საფეხურის შესაბამისი ქულათა დიაპაზონია 0-9 ქულა, დაბალის საფეხურისათვის კი - 10-14 ქულა და ა.შ. ქულათა დიაპაზონი ყველა საფეხურისათვის არის განსაზღვრული. ეს ინფორმაცია გეხმარებათ ცალკეული მოსწავლის მიღწევის დონის შეფასებაშიც. Naec4Schools-ის **მეორე გვერდზე**, ცხრილში, მოცემულია კონკრეტული მოსწავლის მიერ მიღებული ქულა, რომელიც ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ქულათა რა დიაპაზონი უკავშირდება მიღწევის კონკრეტულ საფეხურს) მიღწევის დონეში კონვერტირდება. მაგალითად, თუ მეოთხე კლასელმა მოსწავლემ მიიღო 12 ქულა მათემატიკაში, მისი მიღწევა უნდა მივაკუთვნოთ დაბალ საფეხურს; სწორედ ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით **გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა საგანსა ან კლასში საფეხურის შესაბამისი ქულათა დიაპაზონი შეიძლება განსახვავებული იყოს (ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ სხვადასხვა ტესტში სხვადასხვა მაქსიმალური ქულა გვაქვს, ან შეიძლება სხვადასხვა იყოს დავალებების სირთულე).**

აღსანიშნავია, რომ Naec4Schools-ის პირველსავე გვერდზე მიღწევის საფეხურის აღმნიშვნელი ფერები, უფრო ზუსტად, მონაკვეთის ფერი გამოყენებულია იმისათვის, რომ დაინახოთ - მიღწევის რომელ საფეხურზეა მოსწავლეთა ყველაზე დიდი

რაოდენობა (ე.წ. მოდალური კლასი) თქვენს სკოლაში. მაგალითად, თუ პირველსავე გვერდზე საგნის, კლასის აღმნიშვნელი მონაკვეთი ყვითლადაა შეფერადებული, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა დაბალ საფეხურზეა; თუ ეს მონაკვეთი წითლადაა შეფერადებული, ესეიგი, მოსწავლეთა ყველაზე დიდი რაოდენობა კრიტიკულ საფეხურზე მოხვდა.


(3) პროცენტილი ასახავს კონკრეტული სკოლის/მოსწავლის რეიტინგს იმ სკოლებს/მოსწავლეებს შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტესტირებაში; ცხადია, შედარება ხდება კონკრეტულ საგნისა და კლასის ფარგლებში(მაგალითად, მე-4 კლასი, მათემატიკა). თუ მოსწავლის (შესაბამისად, სკოლის) შედეგს 60 პროცენტილი შეესაბამება, ეს ნიშნავს, რომ მან ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების (შესაბამისად, სკოლების) 60%-ზე უკეთესი შედეგი აჩვენა; შესაბამისად 80 პროცენტილი ნიშნავს 80%-ზე უკეთეს შედეგს და ა.შ.

მოცემული განმარტებიდანაც ადვილი მისახვედრია, რომ პროცენტილი დამოკიდებულია ტესტირებაში მონაწილე სკოლების საერთო შედეგზე. მაგალითად, თუ მოსწავლე/სკოლა ძალიან დაბალ (კრიტიკულ) შედეგებს აჩვენებს ფიზიკაში, იმ მოსწავლეს/სკოლას, რომელსაც დაბალი ან საშუალო მაჩვენებელი აქვს, შეიძლება ერთი შეხედვით არაადეკვატურად მაღალი პროცენტილი შეესაბამებოდეს. ამის ილუსტრირებაა ქვემოთ მოყვანილი მაგალითი: ვთქვათ, სკოლის საშუალო შედეგია 12.71 ქულა, რაც კრიტიკული შედეგის შესაბამის ქულათა დიაპაზონში ხვდება (0-17). ეს გვიჩვენებს მონაწილე სკოლების 56.52%-ზე უკეთეს შედეგს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სკოლების დაახლოებით 56%-ს კიდევ უფრო დაბალი შედეგი ჰქონდა.



ამგვარი შედეგების ინტერპრეტირებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შედარება ტესტირებაში მონაწილე სკოლებთან/მოსწავლეებთან ხდება. ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ეს ინფორმაცია. ამასთან უმჯობესია, ყურადღება მივაქციოთ ყველა მონაცემს, მათ შორის მიღწევის დონეებსა და საშუალო მაჩვენებელს, რათა ადეკვატური დასკვნები გავაკეთოთ.

რაც შეეხება ინფორმაციის წარმოდგენას: Naec4Schools-ის პირველსავე გვერდზე საგნისა და კლასის აღმნიშვნელ უჯრაში მოცემულია სკოლის პროცენტული, რომელიც ასახავს რამდენ პროცენტზე უკეთესი საშუალო შედეგი აჩვენა თქვენმა სკოლამ. ეს ინფორმაცია გრაფიკულადაც ილუსტრირებულია წრიული ზოლის სახით. წრიული ზოლის თეთრად გაფერადებული წილი შეესაბამება იმ პროცენტულ მაჩვენებელს, რომელზე უკეთესი შედეგიც აჩვენა სკოლამ.



Naec4Schools-ის მეორე გვერდზეც მოცემულია ინფორმაცია პროცენტების შესახებ; კერძოდ აღნიშნულია, თუ რამდენ პროცენტზე უკეთესი შედეგი აჩვენა თქვენმა სკოლამ; ასევე, თანდართულ ცხრილში მოცემულია თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულის შესაბამისი პროცენტული მთელ საგნობრივ ტესტში და მის ცალკეულ შინაარსობრივ სფეროში.

პროცენტული აღნიშნავს, თუ მონაწილეთა რამდენ პროცენტზე მეტია აპლიკანტის შედეგი.

ცვარი	სახელი	პირადი#	ქულა	ქულა (პროცენტული)	1. რიცხვები და მოქმედებები (პროცენტული)	2. გეომეტრია (პროცენტული)	3. ალგებრა და მონაცემთა ანალიზი (პროცენტული)
აბრამიშვილი	ეკა	12345678987	15	46.71	36.31	23.28	59.00
აღვაძე	ნინო	12345678910	11	22.40	16.25	44.95	17.72
ალავერდაშვილი	ირაკლი	12345678911	10	17.28	9.52	7.91	42.90
ბალიაშვილი	დავითი	12345678912	15	46.71	62.23	44.95	17.72
ბოლქვაძე	გელა	12345678913	18	68.08	48.32	44.95	81.41